საქსტატი
www.geostat.ge

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

## იანვარი 2026



27.02.2026
www.geostat.ge

## ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, იანვარი 2026

წინასწარი შეფასებით, 2026 წლის იანვარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 7.9 პროცენტი შეადგინა.

### ეკონომიკური ზრდის შეფასება, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)




2026 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სამთომოპოვებითი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა მშენებლობის და ვაჭრობის სექტორში.

27.02.2026

## ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

იანვარი 2026

### ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | წინა წლის შესაბამის თვესთან | წინა თვესთან |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) | 104.8 | 101.2 |
| სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (PPI) | 106.5 | 101.4 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები, იანვარი 2026 წელი

| მაჩვენებელი | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) |
|---|---|---|
| საქონლის ექსპორტი (FOB) | 480.4 | 19.0 |
| საქონლის იმპორტი (CIF) | 1 129.5 | -33.7 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 1 609.9 | -23.6 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობა

(მლნ. აშშ დოლარი)




**შენიშვნა:** შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

27.02.2026

## სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები, 2026 წელი

| მაჩვენებელი | იანვარი |
|---|---|
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | 5 423 |
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | -0.3 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) | 12 860.7 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 5.9 |

## დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები
(მლნ. ლარი)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ხარჯები  შემოსავლები

## საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება*
(მლნ. ლარი)




*წინასწარი მონაცემები

**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

კომერციული ბანკები  ეროვნული ბანკი

27.02.2026

## საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

**საკონტაქტო პირები:**

მაკა კალანდარიშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge